საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/103

21 აგვისტო, 2018 წ. ქ. ბათუმი

2018 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აბიტურიენტების ბსუ-ში ჩარიცხვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ–ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს ზოგიერთი ფაკულტეტის რეორგანიზაციის შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N01 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის N64 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2018 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებული აბიტურიენტების ბსუ-ში ჩარიცხვისათვის გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1.1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ბსუ-ში) ჩარიცხვის უფლების მქონე აბიტურიენტთა ბსუ-ში რეგისტრაცია განხორციელდეს **2018 წლის 10 სექტემბრიდან 25 სექტემბრის ჩათვლით** (დოკუმენტაციის წარმოდგენა, პირველი სემესტრის სწავლის საფასურის გადახდა და ხელშეკრულებების გაფორმება);

1.2. ბსუ-ში რეგისტრაციისათვის აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) პირადობის მოწმობის ასლი (დედანთან ერთად);

ბ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ატესტატის) ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

გ) ორი ცალი ფოტოსურათი (3x4), ასევე სურათის ელექტრონული ვერსია (CD დისკი);

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისათვის);

ე) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

1.3. უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ საფეხურზე სწავლის დაწყებამდე ბსუ-ში სწავლის უფლების მქონე პირი ვალდებულია გაიაროს ადმინისტრაციული

რეგისტრაცია - გადაიხადოს პირველი სემესტრის სწავლის საფასური (შესაძლებელია ეტაპობრივი გადახდა, **მაგრამ არანაკლებ 800 ლარისა).**

1.4. აბიტურიენტთა რეგისტრაცია განხორციელდეს ბსუ-ს ფაკულტეტების დამხმარე პერსონალისა და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის პერსონალის მიერ.

1.5. წინამდებარე ბრძანების მიზნებისათვის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა უზრუნველყოს:

ა) აბიტურიენტთა რეგისტრაციის პროცესის წარმართვა, მათ შორის ვებგვერდზე განსათავსებელი აბიტურიენტთათვის საინტერესო ინფორმაციის მომზადება, პერსონალის განსაზღვრა და მათი მუშაობის კოორდინაცია;

ბ) აბიტურიენტებთან ხელშეკრულებების გაფორმება, პირადი საქმეების გახსნა, ელექტრონული პირადი საქმეების შექმნა და სტუდენტთა ელექტრონულ სერვისებზე შესაბამის პროფილში განთავსება;

გ) სასწავლო პროცესის დეპარტამენტთან შეთანხმებით დარეგისტრირებული აბიტურიენტების სახელობითი სიისა და მათი ჩარიცხვის შესახებ სამართლებრივი აქტის მომზადება;

დ) პირველსემესტრელ სტუდენტთა ბსუ-ს ელექტრონულ სერვისებზე (სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა და სტუდენტური პორტალი) რეგისტრაცია და შესაბამისი ინფორმაციის ადმინისტრაციისათვის მიწოდება.

1.6. 2018 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის **შოთა** რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ბსუ-ში) ჩარიცხვის უფლების მქონე აბიტურიენტთათვის **2018 წლის 10 სექტემბრიდან 25 სექტემბრის** ჩათვლით ბსუ-ში მოქმედ სტუდენტურ სერვისებზე (სოციალურ პროექტებზე, სტიპენდიებზე, სწავლის საფასურზე და სხვა), ასევე ბსუ-ს სტუდენტთა უფლებებსა და მოვალეობებზე, შინაგანაწესზე, ეთიკის კოდექსზე და გაცვლით პროგრამებზე კონსულტაციების გაწევის მიზნით **შეიქმნას საკონსულტაციო ჯგუფი** ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის, სტუდენტური თვითმმართველობის წევრი სტუდენტების და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის (შემდეგში ,,დეპარტამენტი“) პერსონალის შემადგენლობით. საკონსულტაციო ჯგუფს უხელმძღვანელოს დეპარტამენტის უფროსმა, ხოლო წევრები განისაზღვროს ამ ჯგუფის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათისა და რექტორის თანხმობით.

1.7. ბსუ–ში აბიტურიენტთა ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს აბიტურიენტთა რეგისტრაციის შედეგების მიხედვით, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, არაუგვიანეს 2018 წლის 27 სექტემბრისა.

2. ბრძანება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, ასევე საჯარო გაცნობის მიზნით განთავსდეს ბსუ–ს საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,სწავლა“).

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს რექტორის მოადგილეს, ქალბატონ თამარ სირაძეს.

4. ბრძანება შესასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**